ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4275846

ნომერი: AR1644439

თარიღი : 15.11.2018

გაცემის თარიღი : 22.11.2018

გაცნობის თარიღი : 24.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო უბანი. , (ნაკვ. 11/16) ; ქალაქი თბილისი , წყნეთის სატყეო უბანი. , (ნაკვ.11/20);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქორქაძე პ/ნ 01024004051
- ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ.#5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 15 ნოემბერს AR1644439 განცხადებით მომართა გიორგი ქორქაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, საპროექტო ობიექტის დამატებასთან და მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანი. , (ნაკვ. 11/16) საკადასტრო კოდით N01.14.08.011.016 რეგისტრირებულ (1000 კვ.მ) მიწის ნაკვეთზე, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა საკადასტრო ერთეულების (ს/კ: ##01.14.08.011.016; 01.14.08.011.020) გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანას და საპროექტო ობიექტად დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის და მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი.
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა: საკადასტრო კოდი #01.14.08.011.176 ფართობი 2000 კვ.მ, (რეგისტრაციის ნომერი #892018935137; რეგისტრაციის თარიღი 31/10/2018წ.) და ამონაწერი (რეგისტრაციის ნომერი #892018935137; რეგისტრაციის თარიღი 31/10/2018 წ.).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებას დაემატოს უკანა ეზოს განახლებული დანართი (იხ.დანართი).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.